თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
მაგისტრატურის დებულება

დამტკიცებულია თსსა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2018

წლის 22 მარტს, ოქმი N003

პრეამბულა

მაგისტრატურა უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურს წარმოადგენს. მისი დანიშნულება და მიზნები განსაზღვრულია კანონში "უმაღლესი განათლების შესახებ." თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია 2007-2008 სასწავლო წლიდან გადასულია უმაღლესი აკადემიური განათლების სამსაფეხურიან სისტემაზე და ახორციელებს საუნივერსიტეტო სწავლებას პროფესიულ უმაღლეს, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მეშვეობით.
თსსა სპეციფიკიდან გამომდინარე სახელოვნებო (საშემსრულებლო) მიმართულებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები მიზნად ისახავს მოამზადოს შემოქმედი, პრაქტიკოსი ხელოვანები, გაუღრმავოს მათ ცოდნა არქიტექტურის, სახვითი, გამოყენებითი და მედიახელოვნების არჩეულ სფეროში, გამოუმუშაოს მათ შრომით ბაზარზე თვითდამკვიდრებისათვის აუცილებელი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები. თეორიული მიმართულებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები მიზნად ისახავს მეცნიერი-მკვლევარების მომზადებას, რომლებიც არჩეული სამეცნიერო დარგის ღრმა ცოდნით და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევებით იქნებიან აღჭურვილი. სახელოვნებო და თეორიული მიმართულებების სამაგისტრო პროგრამების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგთა აღზრდა, რომლებიც მზად იქნებიან აკადემიური პედაგოგიური საქმიანობისათვის შესაბამისი პროფილის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

1. თსსა მაგისტრატურაში ჩარიცხვა

1.1.თსსა მაგისტრატურაში სწავლების უფლება ეძლევათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი დიპლომი.

1.2. თსსა **თეორიული მიმართულების სპეციალობებზე** მაგისტრატურაში სტუდენტის ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
გამოცდის შემადგენელ კომპონენტებზე კოეფიციენტების განაწილება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ და ინფორმაცია ეგზავნება გამოცდების ეროვნულ ცენტრს

სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები სტუდენტთა კონტიგენტის და სამაგისტრო პროგრამების წარდგენისას.
1.3. ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ სტუდენტი აბარებს სავალდებულო გამოცდას უცხო ენაში და სპეციალობის გამოცდას, რომელსაც ნიშნავს ფაკულტეტის საბჭო.
1.4. განაცხადი მაგისტრატურაში მიღების შესახებ, რომელიც შეიცავს უცხო ენისა და სპეციალობის გამოცდების ჩამონათვალსაც, კეთდება თავად გამოცდების ჩატარების თარიღიდან არანაკლებ ერთი თვით ადრე.
1.5.. საფაკულტეტო კომისია უცხო ენისა და სპეციალობის გამოცდების ჩასატარებლად ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით მტკიცდება თსსა რექტორის ბრძანებით.
1.6. სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება თსსა რექტორის ბრძანებით ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელშიც საფაკულტეტო გამოცდების შედეგებია ასახული.
1.7. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსსა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
1.8.თსსა **სახელოვნებო-შემოქმედებითი) მიმართულების სპეციალობებზე (სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებზე)** მაგისტრატურაში სტუდენტის ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა უცხო ენისა და საფაკულტეტო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება სპეციალობაში.
1.9. გამოცდების სპეციფიკას და რაოდენობას ადგენს ფაკულტეტის საბჭო.
1.10. განაცხადი მაგისტრატურაში მიღების შესახებ, რომელიც შეიცავს უცხო ენისა და სპეციალობის გამოცდების ჩამონათვალსაც, კეთდება თავად გამოცდების ჩატარების თარიღიდან არანაკლებ ერთი თვით ადრე.
1.11. საფაკულტეტო კომისია უცხო ენისა და სპეციალობის გამოცდების ჩასატარებლად ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით მტკიცდება თსსა რექტორის ბრძანებით.
1.12.სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება თსსა რექტორის ბრძანებით ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელშიც საფაკულტეტო გამოცდების შედეგებია ასახული.
1.13. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსსა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. გამონაკლის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მოწვეული პროფესორი, დარგის აღიარებული წარმომადგენელი.
2. **მაგისტრატურაში განაცხადის შეტანის პროცედურა**.
2.1.თეორიული მიმართულების სამაგისტრო პროგრამებზე (რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები, არქიტექტურის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები) ერთიანი სამაგისტრო გამოცდისთვის მსურველთა რეგისტრაცია ხდება გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში.
2.2.თსსა სახელოვნებო-შემოქმედებითი და თეორიული მიმართულების სამაგისტრო პროგრამებზე, რექტორის ბრძანების შესაბამისად, ცხადდება რეგისტრაცია და სტუდენტმა განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- განაცხადი.
- პირადობის მოწმობის ასლი.
- დიპლომი და დიპლომის დანართი
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების სერთიფიკატი

(თეორიული მიმართულების სპეციალობებზე).

2.3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის

მოპოვება:

2.3.1.არქიტექტურის ფაკულტეტისა და რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხება პირი, თუ მას გააჩნია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, გავლილი აქვს საერთო სამაგისტრო გამოცდა, ჩააბარებს თსსა-ს მიერ ორგანიზებულ გამოცდას უცხო ენაში და სპეციალობის გამოცდას ან/და წარმოადგენს პორთფოლიოს;

2.3.2. სახვითი ხელოვნების, დიზაინისა და მედიახელოვნების ფაკულტეტების სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხება პირი, თუ მას გააჩნია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ჩააბარებს თსსა-ს მიერ ორგანიზებულ გამოცდას უცხო ენაში და სპეციალობის გამოცდას. ამ ფაკულტეტების საბჭოები უფლებამოსილები არინ სურვილისამებრ ჩარიცხვის მიზნებისთვის მოითხოვონ საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება;

2.3.3. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა, მაგისტრანტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია, სადაც წარმოადგენს დოკუმენტაციას, რომელთა ჩამონათვალსაც ყოველწლიურად განსაზღვრავს აკადემიური საბჭო;

2.3.4. მაგისტრანტმა სავალდებულოა გააფორმოს ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ფორმდება მაგისტრანტის ჩარიცხვის ბრძანება;

2.3.5. სამაგისტრო პროგრამებზე უცხო ენაში გამოცდა ტარდება თსსა საგამოცდო კომისიის მიერ და ფასდება 100 ქულიანი სისტემით. სპეციალობის გამოცდის ფორმას და პროცედურას ადგენს შესაბამისი ფაკულტეტი;

2.3.6. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე თსსა აკადემიური საბჭო

უფლებამოსილია ყოველწლიურად განსაზღვროს სამაგისტრო საფეხურზე მიღების განსხვავებული პირობები სახელოვნებო მიმართულებებისათვის;

3. სამაგისტრო სპეციალობები, სამაგისტრო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების წესი და მათი სტრუქტურა

3.1.თსსა მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების წესი. ამ წესის თანახმად თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და შეფასება უნდა მოხდეს შემდეგი პროცედურის დაცვით:

3.1.1.საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდება თსსა ფაკულტეტზე შესაბამისი დარგის პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის ხელმძღვანელობით. დასაშვებია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას უხელმძღვანელოს მოწვეულმა პროფესორმა. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო და პროფესორის მოწვევას ამტკიცებს თსსა აკადემიური საბჭო.

3.1.2.პროგრამის შემუშავებას კოორდინაციას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წინასწარ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად ამოწმებს პროგრამას და ადასტურებს, რომ ის შეესაბამება თსსა განსაზღვრულ წესს.

3.1.3.ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებლობას განეკუთვნება აგრეთვე პროგრამის შემადგენელ სასწავლო კურსების/ მოდულების თანაფარდობა თსსა მიღებულ ნორმებთან მიმართებაში.

3.1.4.შემუშავებული პროგრამა განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს.

3.1.5.ფაკულტეტის საბჭო განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას და იღებს გადაწყვეტილებას მის შესახებ. გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებლად განიხილება პროგრამის მიზანშეწონილობა, მისი განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების არსებობა უმაღლეს სასწავლებელში (მათ შორის: სპეციფიური ტექნიკით, დანადგარებით აღჭურვილი სასწავლო ფართი, სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის არსებობა თსსა საბიბლიოთეკო ფონდში და სხვ).

3.1.6.ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა ეგზავნება თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, მის მიზანშეწონილობას და დასამტკიცებლად წარუდგენს მას თსსა აკადემიურ საბჭოს.

3.1.7.საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შემდეგ პროგრამა უბრუნდება ფაკულტეტს და გადაეცემა თსსა ტექნიკურ განყოფილებას პროგრამის ვებგვერდზე განსათავსებლად.

3.1.8.საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;
ბ) უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური;
გ) საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი (აკადემიური, პროფესიული, ძირითადი და/ან დამატებითი და ა.შ.);
დ) სწავლების ენა;
ე) მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
ვ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით:
ზ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
თ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და საქმიანობის განსაზღვრაზე;
ი) სწავლის შედეგი;
კ) დასაქმების სფერო;
ლ) სასწავლო გეგმა;
მ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.
პროგრამას თან უნდა ახლდეს:
ა) სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
ბ) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ.

3.1.9.სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ფაკულტეტის საბჭო სხდომაზე ისმენს პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშს მისი მიმდინარეობის შესახებ, ამ პროცესში არსებული ხარვეზების თუ სხვა სახის პრობლემების თაობაზე. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომელთა კოორდინაციაც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ევალება.

3.1.10.ინფორმაცია ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ განთავსდება თსსა პროგრამების კატალოგში და ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისათვის, რაც უზრუნველყოფს მათი არჩევანის გამჭვირვალობას.

3.2.2. სამაგისტრო პროგრამის სპეციალიზაცია შეესაბამება თსსა სახელოვნებო-შემოქმედებითი და თეორიული მიმართულების ფაკულტეტთა სპეციალობებს. სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

4. სასწავლო პროცესი და სასწავლო გეგმა

4.1.სამაგისტრო პროგრამის საერთო მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, რომელთაგან სტუდენტი ყოველწლიურად 60 კრედიტს (სემესტრში - 30 კრედიტი) ასრულებს. პროგრამის ხანგრძლივობა 2 წელია.

4.2. სამაგისტრო პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს წინასწარ შემუშავებული სასწავლო გეგმის მიხედვით სავალდებულო და არჩევითი საგნების/მოდულების განსაზღვრული თანაფარდობის დაცვით. შეთავაზებული არჩევითი საგნების ჩამონათვალი (საგნებისათვის მინიჭებული კრედიტების მიხედვით) სჭარბობს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ჯამურ რაოდენობას, რაც

უზრუნველყოფს არჩევანის თავისუფლებასა და გამჭვირვალებას. არჩევითი საგნების შერჩევა ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით და სამაგისტრო თემის/ნაშრომის გათვალისწინებით.

4.3. სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები აისახება სამაგისტრო საკვალიფიკაციო თემაში/ნაშრომში. საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც ასახავს მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო პროგრამის გავლის შედეგად გამომუშავებულ კვლევით ან/და შემოქმედებით უნარებს.

4.4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარდგენილ და თსსა რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ საგამოცდო კომისიაზე.

4.5. **თეორიული მიმართულების** სამაგისტრო თემა სრულდება ქართულ ენაზე ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილი პარამეტრების (მოცულობა, გაფორმების წესი და სხვ.)დაცვით. გამონაკლის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დასაშვებია ნაშრომის შესრულება სხვა ენაზე.

4.6. სამაგისტრო ნაშრომს დართული უნდა ჰქონდეს ხელმძღვანელისა და რეცენზენტის წერილობითი დასკვნა.

4.7. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

4.8 რეცენზენტი მიმოიხილავს სამაგისტრო ნაშრომს, აღნიშნავს მის დადებით და გასაუმჯობესებელ მხარეებს.

4.9. რეცენზენტის მიერ არადამაკმაყოფილებელი დასკვნის მიღების შემთხვევაში ნაშრომის ხელახლა განსახილველად წარმოდგენა შესაძლებელია მომდევნო წელს. კვალავ არადამაკმაყოფილებელი დასკვნის მიღების შემთხვევაში ნაშრომი აღარ განიხილება.

4.10. **სახელოვნებო (საშემსრულებლო) მიმართულების** სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული დაცვაზე წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქციას და მის კონცეფციას.

4.12. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ფაკულტეტის საბჭოს მიერ წინასწარ არის განსაზღვრული და ხელმისაწვდომია მაგისტრანტისთვის.

5. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭება

5.1.თსსა საქართველოს და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დებს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებს და შესაძლებელია ამ თანამშრომლობის ფარგლებში განახორციელოს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა/პროგრამები.

5.2.ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის არსებობის შემთხვევაში იდება კონკრეტული ხელშეკრულება, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების საკითხი, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის საკითხი (შესაძლებელია ერთობლივი ხარისხის მინიჭება), პარტნიორებს შორის სასწავლო კომპონენტების (კურსების/მოდულების, პრაქტიკის და სხვ.) განაწილების თანაფარდობა და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების ვინაობა. უცხოელი პარტნიორი უნივერსიტეტის შემთხვევაში ხელშეკრულებაში განსაზღვრულია სწავლების ენა.

6.სადიპლომო თემის/ნაშრომის დაცვის პროცედურა, საგამოცდო კომისიის ფორმირების წესი

6.1. სადიპლომო თემის/ნაშრომის დაცვისათვის ფაკულტეტის საბჭო თსსა რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს საგამოცდო კომისიის შემადგენლობას.

6.2. საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ ფაკულტეტის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები.

6.3 სახელოვნებო-შემოქმედებითი მიმართულების სამაგისტრო პროგრამების დაცვაზე დასაშვებია აგრეთვე კომისიის წევრად დარგის აღიარებული წარმომადგენლის მოწვევა.

6.4. თეორიული მიმართულების სამაგისტრო პროგრამების საგამოცდო კომისიაში ასევე შეიძლება შეყვანილ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი მოწვეული სხვა ორგანიზაციიდან.

6.5. თსსა რექტორი ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარდგენილი საგამოცდო კომისიის შემადგენლობას.

6.6. დაცვა მიმდინარეობს საჯაროდ, დასწრება თავისუფალია. დაცვის პროცედურა აისახება ოქმში.

6.7. სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით დაცვის შემდეგ მაგისტრანტს ენიჭება სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია. თსსა გასცემს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელ დიპლომს.